საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
პროგრამის ხელმძღვანელები	**პროფესორი როსტომ ბერიძე** *მობ.: 577 71 62 63; E-mail: beridze.rostom@bsu.edu.ge* **ასოცირებული პროფესორი ირაკლი კორძაია** *მობ.: 593 40 57 40; E-mail: kordzaia.irakli@bsu.edu.ge*
პროგრამის სტრუქტურა / ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)	240 კრედიტი: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 145 კრედიტი (მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი), სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 კრედიტი, სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები ან დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი (1 ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს).
სწავლების ენა	ქართული
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ტურიზმი“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით და მოიპოვა პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირმა ბსუ-ში უნდა გაიაროს რეგისტრაცია. უფლებამოპოვებული პირი ვალდებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება ბსუ-სთან, გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა შესალებელია საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52, მუხლი 522) დადგენილი წესის და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №34 „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესი“ დადგენილებისშესაბამისად. „ტურიზმი“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს წარმოადგენს: 1. მოამზადოს ტურიზმის ბიზნესის მართვის სფეროში თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც კრიტიკულად აქვს გააზრებული სფეროს თეორიები და პრინციპები. 2. ტურიზმის ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გრძნობით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება. 3. ტურიზმის სფეროში კომპლექსურ ან/და არაპროგნოზირებად გარემოში კონკრეტული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც პასუხს აგებს საკუთარ მოქმედებებზე, არის დამოუკიდებელი, გეგმავს და ადგენს, აანალიზებს, ამყარებს კომუნიკაციას დარგის სპეციალისტებთან და არასაპეციალისტებთან. იაზრებს სწავლის შემდგომ საჭიროებებს.

სწავლის შედეგები	**შედეგი1.** აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად და დამხმარე სექტორებს, ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებულ სფეროებს, ტურისტული ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მართვის თეორიებს, კონცეფციებს და ძირითად პრინციპებს. აცნობიერებს მმართველობით დონეებს და მათ ფუნქციურ მახასიათებლებს. განიხილავს ტურიზმის ორგანიზაციის სფეროში არსებულ პრობლემებს, უახლეს მიგნებებსა და პრაქტიკულ საკითხებს; **შედეგი 2.** ახდენს ტურიზმის ბიზნესის სფეროში მომხმარებელთა მოთხოვნა/ მოლოდინების იდენტიფიცირებას, აანალიზებს ტურიზმის განვითარების გლობალურ და რეგიონულ ასპექტებს. **შედეგი 3.** შეუძლია მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ტურისტული ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა, ტურიზმთან დაკავშირებული კვლევითი ან პრაქტიკული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება; **შედეგი 4.** ქმნის და ავითარებს ტურისტულ პროდუქტს. ამყარებს კომუნიკაციას თანამშრომლებთან, მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ადგენს მიზნობრივ ბაზარს, ახდენს ბაზრის სეგმენტაციას, აფასებს ეფექტიანობას. **შედეგი 5.** მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ. აყალიბებს მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას ქართულ ან/და უცხო ენაზე; **შედეგი 6.** აცნობიერებს პროფესიულ, სამართლებრივ, ეთიკურ, კროსკულტურულ პასუხისმგებლობას ტურისტულ ორგანიზაციაში და საზოგადოებაში. იცავს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს. **შედეგი 7.** გეგმავს, ორგანიზაციას უწევს კარიერული განვითარების, ცოდნის გაღრმავების და საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის შემდგომ საჭიროებებს. ზრუნავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე.